

**Guillaume de Rubrouck, Voyage dans l'empire mongol, 1253-1255; traduction [du latin] et  
commentaire de Claude-Claire et René Kappler; photographies, Roland Michaud, Paros  
2007.**

გიიომ/უილიამ რუბრუკი (დაახ. 1212/15-1293/95) - ფლამანდიელი ფრანცისკანელი ბერი, მოგზაური, მისიონერი, ელჩი. 1253-1255 წელს საფრანგეთის მეფის, ლუი მეცხრის დავალებით მან მონღოლებთან იმოგზაურა მისიონერის რანგში, საბოლოოდ ჩააღწია მონღოლეთში, ყარაყორუმში. რუბრუკს ეკუთვნის თხზულება - „მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში“. იგი ასევე თან ახლდა ლუი მეცხრეს მეშვიდე ჯვაროსნულ ლაშქრობაში.

**საქართველოსა და სომხეთის შესახებ**

•

*Le lendemain, nous franchîmes une vallée où l'on voyait les fondations de murailles qui allaient d'une montagne à l'autre, mais d'un sommet à l'autre il n'y avait pas de route. C'était autrefois les murailles édifiées par Alexandre pour contenir les peuplades sauvages, c'est-à-dire les pasteurs du désert, et les empêcher d'envahir les terres cultivées et les villes. Il y a d'autres murailles à l'intérieur desquelles se trouvent des juifs, mais je n'ai rien pu apprendre de certain sur eux ; cependant il y a dans toutes les villes de Perse de nombreux juifs<sup>1</sup>.*

მეორე დღეს ჩვენ გავიარეთ ერთი ველი, სადაც ჩანდა ერთი მთიდან მეორემდე მომავალი გალავნის ნანგრევები, და არავითარი გზა არ მიდიოდა მათი მწვერვალებისაკენ. ეს იყო ძველი კედელი, ამართული ალექსანდრე მაკედონელის დროს, რათა მას შეეჩერებინა ველური ხალხები ე.ი. უდაბნოს მეჯოგეები და მათთვის ხელი შეეშალა კულტურულ ქალაქებში და მიწა-წყალზე შეჭრილიყვნენ. არის სხვა დაკეტილის ადგილებიც, სადაც ებრაელები ცხოვრობენ; მაგრამ მე მათ შესახებ

---

<sup>1</sup> გვ. 234.

არაფრის თქმა არ შემიძლია დანამდვილებით, თუმცა სპარსეთის ყველა ქალაქში მრავალი ებრაელი მოიპოვება<sup>2</sup>.

•

*Le lendemain, nous arrivâmes à une grande ville nommée Samag, et, après celle-ci, le lendemain, nous entrâmes dans une grande plaine appelée Moan 21, à travers laquelle coule le Cur, d'où est tiré le nom des Curgi que nous appelons Géorgiens. Il traverse la ville de Tefilis qui est la capitale des Gurginiens, il va tout droit de l'occident vers l'orient, jusqu'à la mer susdite, et il a d'excellents saumons. Dans cette plaine nous rencontrâmes de nouveau des Tartares. A travers cette plaine coule également l'Araxe, qui vient de Grande Arménie, directement du sud-ouest. L'Arménie est aussi appelée le pays de l'Ararat. C'est pourquoi le livre des Rois concernant les fils de Sénakerib dit qu'après la mort de leur père, ils s'enfuirent dans le pays des Arméniens. Et dans le livre d'Isaïe, il est écrit de fuir vers le pays d'Ararat pour fuir<sup>3</sup>.*

მეორე დღეს ჩვენ შევედით დიდ ქალაქში, რომელსაც სამაგი ეწოდება<sup>4</sup>, ხოლო იქედან მეორე დღეს დიდ ველზე გავედით, რომელსაც მოანი<sup>5</sup> ჰქვია; მას მტკვარი რწყავს. ამ მდინარემ სახელი მისცა გურჯებს, რომელთაც ჩვენ გეორგიელებს ვეძახით. ის შუაზე სჭრის თბილისს, გეორგიელების მთავარ ქალაქს, პირდაპირ ეშვება აღმოსავლეთით კასპიის ზღვისკენ და საუცხოო ორაგულებს კვებავს. ჩვენ თათრები ვნახეთ აგრეთვე არაქსის ველზე; ეს მდინარე პირდაპირ სომხეთიდან გამოდის და სამხრეთ-აღმოსავლეთით მიემართება. სომხეთს აგრეთვე არარატის ქვეყანა ჰქვია. ამიტომ მეფეთა წიგნში სენაქერიბის ვაჟების შესახებ ნათქვამია, რომ თავიანთი მამის

---

<sup>2</sup> გვ. 169.

<sup>3</sup> გვ. 234.

<sup>4</sup> ახლანდელი - შამახია

<sup>5</sup> მოანი - მუდანის ველი

მოკვლის შემდეგ ისინი სომხების ქვეყანაში გაიქცნენო. ხოლო ისაიას წიგნში სწერია, რომ არარატის ქვეყანაში გაიქცნენო<sup>6</sup>.

•

*Nous ne quittâmes cette ville qu'à l'octave de l'Épiphanie [13 janvier 1255] : nous nous y étions arrêtés longtemps à cause des neiges. En quatre jours nous parvînmes dans le pays de Sahensa, un Géorgien autrefois très puissant, maintenant tributaire des Tartares qui avaient détruit toutes ses places fortes. Son père, nommé Zacharias, avait reçu cette terre des Arméniens qu'il avait libérés des sarrasins. On y trouve de très beaux villages, entièrement chrétiens, qui ont des églises tout à fait comme en France. Chaque Arménien a, dans sa maison, à l'endroit le plus vénérable, une main de bois qui tient une croix, devant laquelle il place une lampe allumée ; et ce que nous faisons avec de l'eau bénite que nous répandons pour chasser l'esprit malin, ils le font avec de l'encens. Chaque soir, en effet, ils brûlent de l'encens qu'ils répandent dans tous les coins de la maison pour en chasser toute espèce d'ennemi.<sup>7</sup>*

ჩვენ ნაქსუა (ნახიჭევანი) ნათლისღების კვირაში დავტოვეთ, ვინაიდან თოვლმა დიდი ხნით დაგვაგვიანა. ოთხი დღის შემდეგ ჩვენ მივალწიეთ საჰენზას ქვეყანას<sup>8</sup>. ეს საჰენზა წინათ მეტად ძლიერი ქართველი ყოფილა, მაგრამ დღეს ხარკს აძლევს თათრებს,, რომელთაც ყველა მისი ციხე-სიმაგრე გაუნადგურებიათ, მამამისს, სახელად ზაქარიას, ეს ქვეყანა სომხებისგან მიუღია და ის სარკინოზების უღლისგან გაუთავისუფლებია. იქ მრავალი საუცხოვო დაბა-სოფელი მოიპოვება ჭეშმარიტი ქრისტიანებისა, რომელთაც ისეთივე ეკლესიები აქვთ, როგორც საფრანგეთშია. ყოველი სომხის სახლში ყველაზე გამოჩენილ ადგილას მოიპოვება ხის ხელი, რომელსაც ჯვარი უჭირავს და რომლის წინაშე კანდელი ანთია: როგორც ჩვენ ბოროტ სულს აიაზმით ვდევნით, ისე ისინი საკმევლით სდევნიან. ყოველ საღამოს სომხები

---

<sup>6</sup> გვ. 169-170.

<sup>7</sup> გვ. 239.

<sup>8</sup> იგულისხმება ზაქარია მხარგრძელის შვილი - შანშე.

საკმეველს ანთებენ და სახლის კუთხეებს უკმევენ, რათა თავი დაიცვან ყოველგვარი მტრისაგან<sup>9</sup>.

•

*Je mangeai avec ce Sahensa, et il me marqua beaucoup de respect, ainsi que sa femme et son fils, appelé Zacharias, jeune homme très beau et sage qui me demanda si vous consentiriez à le garder auprès de vous, dans le cas où il arriverait chez vous. Il supporte si mal la domination des Tartares que, bien qu'il ait toutes choses en abondance, il préférerait s'en aller dans une terre étrangère plutôt que de subir leur domination. Ils ajoutaient qu'ils étaient fils de l'Église romaine, et que si leur seigneur le Pape leur envoyait quelque secours, ils soumettraient à l'Église toutes les nations voisines<sup>10</sup>.*

მე ვისადილე საჰენსასთან და როგორც მან, ისე მისმა მეუღლემ და მისმა ვაჟმა ზაქარიამ<sup>11</sup> დიდი თავაზიანობა გამოიჩინეს ჩემს მიმართ. ზაქარია ლამაზი და ჩინებული ჭაბუკია. მან მთხოვა, თუ ის თქვენთან მოვიდოდა, მე რეკომენდაცია გამეწია მისთვის, რათა ის თქვენს სამსახურში მიგელოთ. ეს ყმაწვილი ისე იტანჯება თათრების ბატონობის გამო, რომ თუმც ყოველივე უხვად აქვს, ურჩევნია უცხო ქვეყანაში იხეტიალოს, ვიდრე ქედი მოიდრიკოს მათ უღლის ქვეშ. სხვათა შორის სომხები ამბობენ, რომაული ეკლესიის შვილები ვართ და პაპი რომ რაიმე დახმარებას გაგვიწევდეს, ყველა მეზობელ ერს დავუმორჩილებთ ამ ეკლესიასო<sup>12</sup>.

მთარგმნელი გ. ქიქოძე<sup>13</sup>

---

<sup>9</sup> გვ. 173-174.

<sup>10</sup> გვ. 239.

<sup>11</sup> ზაქარია შანშეს მე მხარგრძელმა, ამირსპასალარმა სარგის ჯაყელთან ერთად 1259 წელს მონაწილეობა მიიღო დავით ულუს მიერ მოწყობილ აჯანყებაში. პირველად აჯანყებულებმა დაამარცხეს თათრები ტაშისკართან, ხოლო შემდეგ დამარცხდნენ: დატყვევებული ზაქარია მხარგრძელი და გვანცა დედოფალი თათრებმა ურდოში დახოცეს.

<sup>12</sup> გვ. 174.

<sup>13</sup> გ. რუბრუკვისი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში / თარგმანი ფრანგულიდან გერონტი ქიქოძისა. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ.4. თბილისი, 1943

PETITE BIBLIO  
**PAYOT**  
VOYAGEURS

# **GUILLAUME DE RUBROUCK**

## **VOYAGE DANS L'EMPIRE MONGOL**

1253-1255

TRADUIT, ANNOTÉ ET COMMENTÉ  
PAR CLAIRE ET RENÉ KAPPLER

